ხელშეკრულება N 0134/2018

ტესტის შექმნისა და ტესტირების ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

1 ივნისი 2018 წ.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.1.2„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;

1.1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში _ „შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1. ერთი მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

4172 - სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა

წარმოდგენილი დირექტორის ჩიხლაძე ეთერი სახით (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მე-4; მე-6; მე-8; მე-9; მე-10 ან/და მე-11 კლასელთათვის ტესტირების ჩატარების მიზნით, ტესტური დავალებების შემუშავება და გამოცდების ორგანიზება-ჩატარების მომსახურების (CPV-80200000) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. მომსახურების ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები

4.1. "მიმწოდებელი" საკუთარი ინტელექტუალური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფს "შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

4.2. გამოცდის ჩატარებას ამ ხელშეკრულების დანართი N2-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

4.3.მომსახურება მიწოდებულ უნდა იქნას ელექტრონულად, სპეციალური პროგრამის გამოყენებით;

4.4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ჯამური ღირებულება შეადგენს

240.00 ლარს დღგ-ს ჩათვლით;

5.2 თანხის გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია შემდეგი მაჩვენებლები:

5.2.1. ერთ გამოცდაში რეგისტრირებული მოსწავლის მონაწილეობის გადასახდელი თანხა სკოლის მიერ არჩეული პაკეტის მიხედვით:

ა) I პაკეტი – 2,5 ლარი;

ბ) II პაკეტი – 3,5 ლარი;

გ) III პაკეტი – 12 ლარი.

5.2.2. გამოცდაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა;

5.2.3 გამოცდების (საგნების) რაოდენობა;

5.3 იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ გამოცდები, განისაზღვრება „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისათვის" ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული სპეციალური პროგრამის მეშვეობით დარეგისტრირებულ მოსწავლეთა შესაბამისად.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

6.3 "მიმწოდებელი" ფაქტობრივად გაწეული მომსახურების თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში;

6.4 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 "შემსყიდველი" გაწეული მომსახურების თაობაზე "მიმწოდებელთან" მომსახურების მიწოდებიდან 5 დღის ვადაში ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველი"-ს მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

8. მხარეთა უფლებები

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1.მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.2 "შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1.მოითხოვოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;

8.2.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.3 მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ტესტირების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.1.1 დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობები;

9.1.2 დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

ყიდველი" ვალდებულია:

. უზრუნველყოს "მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ანმავლობაში;

9.2.2. უზრუნველყოს კომპიუტერების შესაბამისი რაოდენობა, კერძოდ, თითოეული საგნის ტესტირებისთვის რეგისტრირებულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/4;

9.2.3. უზრუნველყოს უწყვეტი დენის მიწოდება და გამოცდისთვის შესაბამისი პირობების განხორციელება;

9.2.4. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, "შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყდება და მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

12.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 10 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წაწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საჯარო სკოლა კერძოდ, სკოლის მხრიდან

სსიპ მცხ. მუნ. სოფ. წეროვნის №2 საჯ. სკოლის დირექტორი ეთერი ჩიხლაძე

14.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ შესრულებული სამუშაოს კონტროლი;

14.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას;

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16.2. სკოლა, რომელსაც არ ექნება გამართული ტექნიკური აღჭურვილობა, ვერ მიიღებს ტესტირებაში მონაწილეობას;

16.3. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის ან/და სხვა რაიმე ტექნიკური პრობლემის არსებობის გამო ვერ ჩატარდება ტესტირება ამ ხელშეკრულების დანართით დადგენილ თარიღებში, ტესტირებისათვის დამატებითი დღე აღარ გამოიყოფა.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე მიმდინარე წლის 31 ივლისამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი –,,შემსყიდველთან".

19. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

4172 - სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა

მცხეთა, სოფელი წეროვანი

მისამართი

საგადასახადო კოდი

ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი

ბანკი

LBRTGE22

საბანკო კოდი

NGE88LB0121141510630000

ანგარიშის ნომერი

დირექტორი: [signature]

ეთერი ჩიხლაძე

"მიმწოდებელი"

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი, მინდელის ქ. N9

საგადასახადო კოდი: 202198727

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

საბანკო კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 707627112

დირექტორი: [signature]

მაია მიმინოშვილი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთათვის ტესტირების
ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 1 ივნისის
N 0134/2018 ხელშეკრულების დანართი N 1

"მიმწოდებელი" "შემსყიდველი" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის უზრუნველყოფს:

მე - 6 კლასის მოსწავლეთათვის ტესტური დავალებების შემუშავებას:

საგანი	პაკეტი	ტესტირების ენა
ქართული ენა	1	ქართული
მათემატიკა	1	ქართული
ინგლისური	1	

მე - 8 კლასის მოსწავლეთათვის ტესტური დავალებების შემუშავებას:

საგანი	პაკეტი	ტესტირების ენა
ქართული ენა	1	ქართული
მათემატიკა	1	ქართული
ინგლისური	1	
ისტორია	1	ქართული
რუსული	1	
ხელოვნება	1	ქართული
გეოგრაფია	1	ქართული
ბიოლოგია	1	ქართული
ფიზიკა	1	ქართული

მე - 9 კლასის მოსწავლეთათვის ტესტური დავალებების შემუშავებას:

საგანი	პაკეტი	ტესტირების ენა
ქართული ენა	1	ქართული
მათემატიკა	1	ქართული
ინგლისური	1	
რუსული	1	
გეოგრაფია	1	ქართული
სამოქალაქო განათლება	1	ქართული
ბიოლოგია	1	ქართული
ქიმია	1	ქართული
ფიზიკა	1	ქართული

მე - 10 კლასის მოსწავლეთათვის ტესტური დავალებების შემუშავებას:

საგანი	პაკეტი	ტესტირების ენა
ქართული ენა	1	ქართული
მათემატიკა	1	ქართული
ინგლისური	1	
გეოგრაფია	1	ქართული
სამოქალაქო განათლება	1	ქართული
ბიოლოგია	1	ქართული

ტესტის შექმნისა და გამოცდების ორგანიზება-ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 1 ივნისის N0134/2018 ხელშეკრულების დანართი N2

ტესტირების ჩატარების პირობები და წესი

1. ტესტირების ჩატარების ადგილი.

ტესტირება ჩატარდება სოს მგზეის მონიტორინგის სოფელ ნესოვნის №2 საჯარო სკოლა (სკოლის დასახელება), შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სოფელი ნესოვანი (სკ. ინსტიტუტის ტერიტორია) (მისამართი)

2. ტესტირების ჩატარების დრო და განრიგი:

ა) ტესტირება ჩატარდება **2018 წლის 4-9 ივნისს.** 4 ივნისს ყველა მოსწავლეს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ტესტირების სიმულაციაში და შეეჩვიოს მის სპეციფიკას.

ბ) ტესტირება ჩატარდება 9-დან 18 საათამდე.

3. ტესტირების მიმდინარეობა:

ა) გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში, მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს გამოვიდეს ნებისმიერ საგანში, ნებისმიერ დღეს.

ბ) ერთდროულად შესაძლებელია სხვადასხვა გამოცდის ჩატარება სხვადასხვა კომპიუტერზე პარალელურად.

გ) კონკრეტულ საგანში ტესტირების დროის ამოწურვისთანავე, მოსწავლეს გაეთიშება პროგრამა. საგამოცდო დრო გამოითვლება შემდეგნაირად - კონკრეტულ საგანში კითხვების რაოდენობა გამრავლებული 2-ზე და დამატებული 10 წუთი.

დ) ერთი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

ე) I პაკეტის არჩევის შემთხვევაში ქულას მოსწავლე ნახულობს ტესტირების დამთავრებისთანავე, ხოლო მე-2 და მე-3 პაკეტის არჩევის შემთხვევაში მოსწავლე მხოლოდ დახურულბოლოიანი დავალებების ქულას, ხოლო ღია დავალებების შეფასებას გასწორების შემდგომ.

4. ტესტირების შედეგები:

ა) კონკრეტული სკოლის ტესტირების შედეგები არ გასაჯაროვდება. მოსწავლეთა შეფასებები შიდა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისაგან შედეგებს მხოლოდ შესაბამისი სკოლა მიიღებს.

ბ) ტესტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ გვერდის - www.naec.ge საშუალებით, ცენტრისაგან მიიღებს დამუშავებულ ინფორმაციას სკოლისა და ცალკეული მოსწავლის მიღწევების შესახებ ინფორმაციას:

ბ.ა) ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა რა ნაწილმა დაძლია მიღწევის დაბალი, საშუალო, მაღალი და უმაღლესი საფეხურები კონკრეტულ საგანში;

ბ.ბ) მოსწავლეთა რამდენმა პროცენტმა ვერ გამოავლინა მინიმალური კომპეტენციაც კი მიღწ... დაბალი საფეხურისათვის განკუთვნილი დავალებების შესრულებისას;

ბ.გ) მიღწევის რა საფეხური დაძლია კონკრეტულმა მოსწავლემ კონკრეტულ საგანში;

ბ.დ)სკოლის შედეგები თითოეულ საგანში - სკოლის რეიტინგული პოზიცია (პროცენტილი) პროექტში მონაწილე ყველა სკოლას შორის.

ბ.ე)თითოეული მოსწავლის შედეგი კონკრეტულ საგანში და ამ მოსწავლის რეიტინგული პოზიცია (პროცენტილი) პროექტში მონაწილე შესაბამისი საფეხურის ყველა მოსწავლეს შორის.

5. ადმინისტრირება

ა) ტესტირებაზე, სისტემაში შესასვლელ პაროლებს საგნების მიხედვით სკოლის დირექცია მიიღებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ხოლო გამოცდებში მონაწილე მოსწავლეების 11 ნიშნა ნომრების ამობეჭდვა შესაძლებელი იქნება გამოცდებზე სარეგისტრაციო სისტემიდან.

ბ) პირველი და მეორე პაკეტის არჩევის შემთხვევაში საგამოცდო ოთახზე პასუხისმგებელ პირს - მეთვალყურეს ნიშნავს სკოლა.

გ) მესამე პაკეტის არჩევის შემთხვევაში საგამოცდო ოთახზე პასუხისმგებელ პირს - მეთვალყურეს წარგზავნის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

გ) ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამის საგანზე დარეგისტრირებული მოსწავლის პირადი ნომერი მეთვალყურემ უნდა შეიტანოს სისტემაში. მეთვალყურემ აგრეთვე უნდა შეამოწმოს მოსწვალის გვარი და სახელი, რომელიც გამოჩნდება ეკრანზე და შეიტანოს ჩასაბარებელი გამოცდის კოდი.

დ) სესიის გაწყვეტის შემთხვევაში გამოცდის გაგრძელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, შესაბამისი დღის საგამოცდო დროის დასრულებამდე.

მიღება-ჩაბარების აქტი

ტესტირების ჩატარების შესახებ

ბაბილისი 25 ივნისი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება 236059251 სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის ჩიხლაძე ეთერი სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით, ვადგენთ აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 1 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება # 0134/2018 (ხელშეკრულების ნომერი) -ის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ტესტირების ჩატარების მიზნით, უზრუნველყო ტესტური დავალებების შემუშავება და გამოცდების ორგანიზება-ჩატარება ცხრილის შესაბამისად:

საგამოცდო საგანი	სწავლების ენა	კლასი	გამოცდაზე რეგისტრირებულთა რაოდენობა	პაკეტი	მომსახურების ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
ქართული ენა	ქართული	6	7	1	2.50	17.50
მათემატიკა	ქართული	6	9	1	2.50	22.50
ინგლისური	ქართული	6	3	1	2.50	7.50
ქართული ენა	ქართული	8	3	1	2.50	7.50
მათემატიკა	ქართული	8	5	1	2.50	12.50
ინგლისური	ქართული	8	4	1	2.50	10.00
ისტორია	ქართული	8	2	1	2.50	5.00
რუსული	ქართული	8	1	1	2.50	2.50
ხელოვნება	ქართული	8	1	1	2.50	2.50
გეოგრაფია	ქართული	8	1	1	2.50	2.50
ბიოლოგია	ქართული	8	6	1	2.50	15.00
ფიზიკა	ქართული	8	2	1	2.50	5.00
ქართული ენა	ქართული	9	3	1	2.50	7.50
მათემატიკა	ქართული	9	1	1	2.50	2.50
ინგლისური	ქართული	9	5	1	2.50	12.50
რუსული	ქართული	9	1	1	2.50	2.50
გეოგრაფია	ქართული	9	3	1	2.50	7.50
სამოქალაქო განათლება	ქართული	9	4	1	2.50	10.00
ბიოლოგია	ქართული	9	5	1	2.50	12.50
ქიმია	ქართული	9	1	1	2.50	2.50
ფიზიკა	ქართული	9	2	1	2.50	5.00
ქართული ენა	ქართული	10	7	1	2.50	17.50
მათემატიკა	ქართული	10	4	1	2.50	10.00
ინგლისური	ქართული	10	3	1	2.50	7.50
გეოგრაფია	ქართული	10	4	1	2.50	10.00
სამოქალაქო განათლება	ქართული	10	1	1	2.50	2.50
ბიოლოგია	ქართული	10	3	1	2.50	7.50
ქიმია	ქართული	10	2	1	2.50	5.00
ფიზიკა	ქართული	10	3	1	2.50	7.50

ცენტრმა განათავსა WWW.NAEC.GE-ის საშუალებით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო ტესტის

მიღება-ჩაბარების აქტი

ტესტირების ჩატარების შესახებ

ქ.თბილისი 25 ივნისი 2018 წელი

შექმნისა და გამოცდების ორგანიზება-ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 1 ივნისის # 0134/2018 ხელშეკრულების დანართი N2 - ის მე - 4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.

გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულებაა: 240.00 ლარი.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა,	სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი